ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №36

01.03.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, თარაშ შურღაია, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გვანცა ნიკოლეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
2. **დაინტერესებული პირები (განმცხადებლები):** ზ. თურმანიძე, ვ. გიორგაძე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 თებერვლის №12-0319052169-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. **მიმდინარე საკითხი:** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილი - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01183103688-67 განაცხადი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 თებერვლის №12-0319052169-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა გ. ნიკოლეიშვილმა.

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №01190293032-67; №01190183562-67; №01190304314-67; №01190042018-67; №01183612767-67; №01190262-67; №01190354467-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 7 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ა“ პუნქტი) - **ქ. თბილისში, სოფელ წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე №44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.21.154; ფართობი: 53 065 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ზონის ცვლილების შესახებ (№01190293032-67).**

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190293032-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე №44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.21.154; ფართობი: 53 065 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის №324 განკარგულებით დადგენილია ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე №44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.21.154; ფართობი: 53 065 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება რეკომენდებულია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ბ“ პუნქტი) - **ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის №8-ში**

მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.094.003) ნაწილზე 590 კვ.მ. ფართობზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების შესახებ (№01190183562-67).

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190183562-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.094.003) ნაწილზე, 590 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება არსებულ მისამართზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით. ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქცია რჩება უცვლელი და იცვლება მხოლოდ ქვეზონა, რაც არ იწვევს გარემოს არსებით ცვლილებას და ემსახურება მხოლოდ სომხური თეატრის ფუნქციონირებას. ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსაგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

- **განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „გ" პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.011.052) ნაწილზე, 203 კვ.მ. ფართობზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების შესახებ (№01190304314-67).**

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190304314-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა №33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.011.052) ნაწილზე 203 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 1084 კვ.მ-ს, რომლის მცირე ფართობზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). აღნიშნული საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

დადებითი რეკომენდაციით გადმოეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისს, თუმცა ამავდროულად ძალაში შევიდა ლისის ტბის ჩარჩო გეგმის შეზღუდვა *(№18-62 დადგენილება 04.05.2018წ.)* და შესაბამისად მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.011.052) ფუნქციური ზონის ცვლილებას ეთქვა უარი. დღევანდელი მდგომარეობით გენერალური გეგმის მიმდინარე პროექტის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე არ ვრცელდება ჩარჩო გეგმის შეზღუდვა და როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე მის მიმდებარე არეალს მოიცავს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „დ“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, გორგასლის ჩიხი №2-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.005.012; ფართობი: 5374 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01190042018-67).**

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190042018-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ჩიხის, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.005.012 ცვლილების ფართობი: 5374 კვ.მ) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება სასტუმროს განთავსების მიზნით. მიმდებარე ტერიტორიის განვითარება მიმდინარეობს მოთხოვნილი ზონირების შესაბამისად, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მომიჯნავედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 დეკემბერს გაცემულია სამშენებლო ნებართვა სასტუმროზე. ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებული მხარის (განმცხადებლის) მიერ გამოთქმული ინიციატივის

თაობაზე. კერძოდ, დაინტერესებული მხარე მზად არის, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე დარგოს მრავალწლოვანი ხე-მცენარეები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბატონმა რ. სოხაძემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს (ზ. თურმანიძე, ვ. გიორგაძე) მიმართა წინადადებით, მიმდინარე გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1 ჰა ფართობი გამწვანდეს ხე-მცენარეებით.

დაინტერესებული მხარის (განმცხადებლის) წარმომადგენლები დაეთანხმნენ ბ-ნი რ. სოხაძის შეთავაზებას.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ე“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიბალჩიჩის ხევი №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.079) 920 კვ.მ. ფართობზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილების ცვლილების შესახებ (№01183612767-67).**

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183612767-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიბალჩიჩის ხევი №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.079) 920 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე მდებარეობს სასტუმროს შენობა და გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ ვრცელ არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). ცვლილების შესაძლებლობას ასევე ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №01190151040 წერილი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

- **განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ვ" პუნქტი) - ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.016-ის მიმდებარედ) მიმდებარედ 1012 კვ.მ. ფართობზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (№01190262-67).**

მომხსენებლის (გ. ნიკოლაიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190262-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. სატრანსპორტო ზონის გაჩენის აუცილებლობა გამოწვეულია დაუსრულებელი მშენებლობის გაგრძელების მიზნით, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საპროექტო ზონირება მოიცავს უკვე არსებულ გრუნტის გზას და შესაბამისი ფუნქციური ზონით მოეწყობა სრულფასოვანი მისასვლელი გზა. წარმოდგენილი კონტური შეთანხმებულია ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან ისე, რომ შენარჩუნდეს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები, რასაც ასევე ადასტურებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 თებერვლის №01190363989 წერილი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია (www.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით არსებული ფუნქციური ზონებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი სურათის ჩვენება) მოითხოვა ბ-ნმა რ. სოხაძემ.

მომხსენებელმა, ქ-ნმა გვანცა ნიკოლეიშვილმა უზრუნველყო არსებული ფუნქციური ზონებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის თაობაზე მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა www.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის დახმარებით.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შესანარჩუნებლად, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) მოთხოვნის დაკმაყოფილება სხვა, ოპტიმალური ვარიანტის (კონფიგურაციით) შერჩევის თაობაზე.

ქ-ნი გ. ნიკოლაიშვილის განმარტებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე პროექტიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი შეარჩია.

ბ-ნმა რ. სოხაძემ წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი შესწავლისთვის, ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, №01190262-67 განაცხადით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

- **განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ზ" პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრორაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) 39 994 კვ.მ. ფართობზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონების ცვლილების შესახებ (№01190354467-67).**

მომხსენებლის (გ. ნიკოლაიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190354467-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრო/რაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №116 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება 39 994 კვ.მ ფართობზე. განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულია როგორც

ინდივიდუალური, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სპორტული კომპლექსისა და სავაჭრო-კომუნალური ცენტრით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ბ-ნმა რ. სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა წინადადებით, იმის გამო, რომ საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, გადადებულ იქნას ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრორაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) 39 994 კვ.მ. ფართობზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხი, დამატებითი შესწავლის მიზნით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრორაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) 39 994 კვ.მ. ფართობზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონების ცვლილების განხილვის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 21 თებერვლის №12-0319052169-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის:
   1) **№01190262-67 განაცხადით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა;

2) **№01190354467-67 განაცხადით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრო/რაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხის განხილვა.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 21 თებერვლის №12-0319052169-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადების - №01190293032-67; №01190183562-67; №01190304314-67; №01190042018-67; №01183612767-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე საკითხი) - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილი - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01183103688-67 განაცხადი)

საკითხის განხილვის დაწყებამდე აღინიშნა, რომ 2018 წლის 18 დეკემბრის გარემოს დაცვის კომისიის სხდომაზე (ოქმი №30) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა გადადებული ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.001.080) მიმდებარედ 163 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხი (განაცხადი **№01183103688-67).**

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხით გათვალისწინებული პირველი წინადადება წარმოადგინა ქ-ნმა გ. ნიკოლეიშვილმა.

მომხსენებლის (გ. ნიკოლეიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183103688-67 განაცხადით** მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

სხდომაზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, განმცხადებელს (კ. ყოჩიშვილი) აღნიშნულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს

ღობე, რის საფუძველზეც **№01183103688-67 განაცხადით** მოითხოვა ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება, მიწის ნაკვეთის ლეგალიზების (დაკანონების) მიზნით. ასევე, წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, არსებული და კორექტირებული ფუნქციური ზონების გავრცელების არეალის შედარების სახით.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, სატრანსპორტო გზის გამტარუნარიანობის შესაძლო შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. კერძოდ, ფუნქციური ზონა შეიცვალოს გზის კონტურამდე არანაკლებ 2 მეტრის დაშორებით.

ბ-ნმა რ. სოხაძემ, ფუნქციური ზონის შეცვლის შემთხვევაში, სატრანსპორტო გზის გამტარუნარიანობის შესაძლო შეზღუდვის თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბატონმა რ. სოხაძემ წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, **უარი ეთქვას** ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

უარი ეთქვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №12-031834876-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ა" პუნქტით) წარმოდგენილი

ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.001.080) მიმდებარედ 163 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხს (განაცხადი **№01183103688-67**).

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე